ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3957548

ნომერი: AR1590624

თარიღი : 03.04.2018

გაცემის თარიღი : 11.05.2018

გაცნობის თარიღი : 11.05.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აეროპორტი; ქალაქი თბილისი , აეროპორტი; ქალაქი თბილისი , აეროპორტი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა სირაძე პ/ნ 01010013468
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ I კვ. კორ. 13 ბ. 30

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა
  ახალი მშენებლობა

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს: სამსახურის მიერ №3928748 გადაწყვეტილებით დაგევალათ დოკუმენტაციის წარმოდგენა, ასევე ამავე გადაწყვეტილებით ინფორმირებული იყავით, რომ სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩებოდა განუხილველი. თქვენ მიერ არ იქნა გათვალისწინებული სამსახურის მიერ №3928748 გადაწყვეტილებით დადგენილი ხარვეზები და მოთხოვნილი დოკუმენტაცია არ იქნა წარმოდგენილი, კერძოდ: - არ დგინდება სს „თელასის“ წერილზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილება, ასევე, წერილში არ არის გამოთქმული თანხმობა სამუშაოების განხორციელებაზე. საჭიროა წარმოდგენილი იქნას უფლებამოსილი პირის (საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი მინდობილობაც) მიერ გაცემული თანხმობა. შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ წერილზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილება არ დგინდება, ასევე, არ არის გამოთქმული თანხმობა განსახორციელებელ სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით.საჭიროა წარმოდგენილი შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული თანხმობა განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით. შპს „ საქაერონავიგაციის“ წერილში თანხმობა არ არის გამოთქმული. საჭიროა წარმოდგენილი იქნას თანხმობის შინაარსის წერილი. შპს „ყასტრანგაზ თბილისის“ წერილში არ არის გამოთქმული თანხმობა განსახორციელებელ სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით. რაც შეეხება სერვიტუტს: ვინაიდან მიწის ნაკვეთების საჯარო რეესტრიდან ამონაწერებში ფიქსირდება შეზღუდული სარგებლობა, საჭიროა წარმოდგენილი იქნას საჯარო რეესტრში რეგისტრირებული შეზღუდვის საფუძვლები (დამოწმებული ან საჯარო რეესტრიოს წერილით) და საჭიროების შემთხვევაში უფლებამოსილი პირის თანხმობა კონკრეტულ მიწის ნაკვეთებზე მშენებლობის განხორციელებასთან დაკავშირებით ან განახლებული ამონაწერები შეზღუდვის გარეშე.
ზემოაღნიშნულის შესაბამისად AR1590624 განაცხადი რჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.